ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №586524

ნომერი: AR1113066

თარიღი : 01.03.2013

გაცემის თარიღი : 13.03.2013

გაცნობის თარიღი : 14.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ.N13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.N2/66) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , შანდორ პეტეფისა ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ , ნაკვეთი 02/166 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მზია კიტია პ/ნ 01013000688
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 19 ბ. 40

ორგანიზაცია:
- შპს "გეოგაზი" კოდი: 406062601

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ– ქალაქ თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №53961 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამსახურს 2013 წლის 01 მარტს №AR1113066 განცხადებით მომართა მოქალაქე მზია კიტიამ და მოითხოვა

სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №53961 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 23 თებერვალს №53961 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქ; კორპ. №13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.176; ფართობი: 1000.00 კვ.მ.) ავტოგასამართი სადგურის განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმის (№6 15.02.2012) შესაბამისად გაცემული სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე.
სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და საპროექტო ობიექტის ფუნქციაში გაზგასამართი სადგურის დამატებას.
"ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ის თანახმად საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ში სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ავტოგასამართი სადგურის (კომპლექსის) მშენებლობა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან განმცხადებელი ითხოვს დამატებით გაზგასამართი სადგურის განთავსებას საკითხი სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის მიზნით გატანილ იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი შეფასება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და ობიექტის ფუნქციაში დამატებით გაზგასამართი სადგურის (ავტოგასამართი კომპლექსი) მითითება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2012 წლის 23 თებერვლის №53961 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №53961 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციად მიეთითოს: "ავტოგასამართი სადგური და გაზგასამართი სადგური (ავტოგასამართი სადგური (კომპლექსი))".
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №53961 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.